



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 242

ქალაქი ქუთაისი                    21                    მარტი                    2016 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N115 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ამოღებული იქნეს საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხიდან N56, N528, N529, N530, N531 და N570 პუნქტები.
2. საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს N635 და N642 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის საკრებულოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/,მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და  
სარეგებლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
635	მიწის ნაკვეთი	გუგუნავას ქუჩა N18-ის აღმოსავლეთით	607.0	03.05.24.922
636	მიწის ნაკვეთი	ავტომშენებლის ქუჩა N4-ის ჩრდილოეთით	3695.0	03.01.21.485
637	მიწის ნაკვეთი	ავტომშენებლის ქუჩა N4-ის ჩრდილოეთით	12060.0	03.01.21.484
638	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი N58, ნაკვეთი N1	226.0	03.05.22.560
639	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი N58, ნაკვეთი N1	1693.0	03.05.22.558
640	მიწის ნაკვეთი	წერეთლის ქუჩა N160	1558.0	03.06.21.171
641	შენობა-ნაგებობა	გუგუნავას ქუჩა N15-4	1769.0 - მიწა 3172.4 მშენებარე შენობა	03.05.24.847
642	მომრავი ქონება (მეორადი ნედლეული)	1. რკინა (მასიური) 2. რკინა (არამასიური) 3. ალუმინი (მასიური) 4. ალუმინი (არამასიური) 5. სპილენძი (მასიური) 6. სპილენძი (არამასიური) 7. ლათუნი (მასიური) 8. ლათუნი (არამასიური)	-	-

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი